# გილოცავთ შობა - ახალ წელს!



შობა-ახალ წელს ვულოცავ ოზურგეთსა და ოზურგეთელებს. მზად ვართ ბოლომდე გავ-იხარჯოთ ჩვენი ქალაქისა და თითოეული თქვე-ნგანის უკეთესი ხვალინდელი დღისათვის

ქ. ოზურგეთის მერი
**ბეგლარ სიორიძე**



2015 წელი სიხარულის, სიკეთის, დოვლათისა და წარმატების მომტანი ყოფილიყოს თქვენი ოჯახებისა და ჩვენი ქვეყნისთვის!
შობის მადლი და უფლის წყალობა მოჰფენოდეს თითოეული თქვენთაგანის ოჯახს!

პატივისცემით: სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი
**ქეთევან მოისწრაფიშვილი**



დიდი სიყვარულით ვულოცავ შობა-ახალ წელს ოზურგეთის თემთა საკრებულოში შემავალი ყველა სოფლის მცხოვრებს. ხვავი და ბარაქა ნუ მოჰკლე-ბოდეს თქვენს ოჯახებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი
**მერაბ ჭანუყვაძე**


უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

# ალიონი

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №1 (10091), 8 იანვარი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.




## დემეტრე კარტოზია - 2015 წლის პირველი ოზურგეთელი

2015 წლის პირველი ოზურგეთელი დემეტრე კარტოზია გახდა. დემეტრე ქვეყნიერებას 10:30 საათზე მოევლინა. ახალშობილი და ახალგაზრდა დედა ქალაქის მერმა მოინახულა და საჩუქრები გადასცა. ბეგი სიორიძემ ლიკა გუნთაძეს მეორე შვილის დედობა მიულოცა და შვილთა სიმრავლე და ბედნიერი



მრავალ შობა-კალანდას, ძვირფასო ოზურგეთელებო!

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ყოველი თქვენთაგანისათვის 2015 წელი. ჯანმრთელობა, სიხარული, ბედნიერება ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს. მჯერა ეს წელიწადი გარდამტეხი იქნება ქვეყნის გამთლიანების საქმეში.

**გელა კობალაძე,**
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ჩემო ოზურგეთელებო!

გილოცავთ შობა-ახალი წლის მობრძანებას. ყველა თემის, ყველა სოფლის მცხოვრებს ვუსურვებ სიკეთეს, ბედნიერებას, სიხარულს, შვილთა სიმრავლეს, ქვეყნის გამთლიანებას.

უფლის მადლი და წყალობა ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს!

**დავით დარჩია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

## საჩუქარი „ალიონის“ მკითხველს

(იხ. დანართი)





მაღაზია „ნეპტუნი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!



ინდ. მეწარმე „ავთანდილ ჭანუყვაძე“ მუდამ თქვენ სამსახურში!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ.№15.

(რ)

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია, მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი. 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია, ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს. შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია.

მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი; სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი; გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი.

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა:
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**
*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**
*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311





**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

## საახალწლო მისალმება ოზურგეთის საზოგადოებას



ოზურგეთი და მისი რაიონი ძირითადად შუა გურიის მიწა-წყალზეა გაშლილი. შუა გურია მდინარე ბახვისწყალსა და მდინარე ჩოლოქის შუა მდებარე ტერიტორიას ერქვა წინათ.

ამ ტერიტორიაზე ათასწლეულების მიღმა აიდგა ფეხი ოზურგეთმა და თავის გარშემო შემოიკრიბა ეს ძვირფასი ქვეყანა.

ოზურგეთი წარმატებით უძლვებოდა, როგორც გაერთიანებული საქართველოს მთავარ საერისთავოს, ისე შემდგომი ხანის დიდ მოვლენებს, რომელთა შორის ბრწყინავს „ახლანდელი დიდგორის“ (ნასაკირალის ეპოპეა) ეპოქა.

ოზურგეთმა და შუა გურიამ თავი შემდეგაც ისახელეს და ბევრი საამაყო შვილი მისცეს საქართველოს. საკმარისია დიდი ღვთის კაცის ექვთიმე თაყაიშვილის (1862-1953 წწ.) დასახელება.

ამ ტრადიციების ძალა დიდია და იგი მომავალშიც გაახარებს სამშობლოს თავისი შემართებით.

**იური სიხარულიძე**
პროფესორი

## ჩემო ტკბილო გურულებო



მთელი არსით გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას. დაე, ამ ახალაი წლიდან დაწყებულიყოს უკეთესობისკენ ჩვენი ერის სულიერი და მატერიალური ფერისცვალება. ულევი სიხარული არ მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს, ჩემს დახატულ გურიას!

იცოცხლეთ, გაიხრეთ, მრავალჟამიერ!!!

თქვენი **დავით შემოქმედელი**

*სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი*
*ქართული კულტურის დესპანი*
*გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი*
.

## ა(ა) იპ ფერმერული განვითარების ცენტრი გილოცავთ შობა- ახალ წელს!“



## სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრი გილოცავთ შობა- ახალ წელს!“



## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2, გამგეობაში კი 42 ახალი საჯარო მოხელეა



30 დეკემბერს, 15 საათისათვის გამართულ ბრიფინგზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, საჯარო მოხელეთა კონკურსის კომისიის თავმჯდომარე მერაბ ჭანუყვაძემ, კომისიის წევრების თანხლებით, დაასახელა ის 44 ადამიანი, რომლებიც შეუდგებიან მუშაობას თემთა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ რგოლებში (საკრებულოში -2, გამგეობაში 42)

ჭანუყვაძის თქმით, საჯარო მოხელეთა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპები წარმატებით გადალახა 309 კანდიდატმა და მესამე ეტაპისთვის, გასაუბრებისთვის უკლებლივ ყველას ერთნაირი შანსი ჰქონდა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად:

„დიახ, პირველ ორ ეტაპ გავლილ 309-ვე კანდიდატს თანაბარი შანსები ჰქონდათ, მაგრამ 137 ვაკანტურ ადგილზე 309 ადამიანი ხომ ვერ დაინიშნებოდა. ამიტომ, მესამე ეტაპზე, გასაუბრებაზე კომისიას მეტად რთული და მტკივნეული გადაწყვეტილების მიღება მოუხდა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ძველი თანამშრომლების, ისე ახალი კანდიდატების მნიშვნელოვან ნაწილს უარი ეთქვათ, ვფიქრობთ, რომ საბოლოოდ, კონკურსის შედეგებიდან გამომდინარე, ობიექტური გადაწყვეტილება მივიღეთ“, – აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

მისივე განმარტებით, გამოთავისუფლებულ თანამშრომლებს და იმ კანდიდატებს, რომლებმაც წარმატებით გადალახეს კონკურსის პირველი ორი ეტაპი, კიდევ ერთხელ მიეცემათ შანსი, გახდნენ საჯარო მოხელეები:

„ადამიანურად მათ გვერდით ვართ. ამ პიროვნებებს კიდევ ერთხელ ექნებათ საშუალება, გახდნენ ჩვენი, თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოხელეები. მოგეხსენებათ, საჯარო მოხელეთა კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების ხელფასზე უნდა იხარჯებოდეს ბიუჯეტის 25%, ჩვენ ვხარჯავთ 21%-ს, საშუალება გვაქვს დარჩენილი 4%-ის გათვალისწინებით, გამოვაცხადოთ კონკურსი. იმ კანდიდატებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს პირველი ორი ტური, მხოლოდ გასაუბრებაზე მოუწევთ გასვლა. ეს მოხდება უახლოეს პერიოდში“, – თქვა ბოლოს მერაბ ჭანუყვაძემ.

## წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ



30 დეკემბერს ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ. ოქროს მედალი 11 კურსდამთავრებულს, ხოლო ვერცხლი 10 მოსწავლეს გადაეცა. ღონისძიებას ქალაქის მერი, ბეგი სიორიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თითოეულ მედალოსანს გადაეცა საჩუქრები. მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს თავიანთ სკოლებს, რესურს-ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას.

**ოქროს მედალოსნები:** კუკური ლომჯარია - №1 საჯარო სკოლა; ანა კეჭაყმაძე - №2 საჯარო სკოლა

თამარ ქართველიშვილი - №2 საჯარო სკოლა; თამარ ხუხია - №2 საჯარო სკოლა; ნანი ჭელიძე - №2 საჯარო სკოლა; თორნიკე გოლიაძე - №4 საჯარო სკოლა; თემო გაბეჩავა - №4 საჯარო სკოლა; იზი მგელაძე - №4 საჯარო სკოლა; ერეკლე მიქატაძე - №4 საჯარო სკოლა; მარიამ გობრონიძე - სოფელ მერიის საჯარო სკოლა; მარიამ საგინაძე - დაბა ურეკის საჯარო სკოლა.

**ვერცხლის მედალოსნები:** რევაზ მგელაძე - №2 საჯარო სკოლა; ფიქრია ჩხაიძე - №3 საჯარო სკოლა; ზური პეტროსიანი - №4 საჯარო სკოლა; ერეკლე ხარაიშვილი - №4 საჯარო სკოლა; მარიამ სალუქვაძე - №5 საჯარო სკოლა; მეგი კონტრიძე - №5 საჯარო სკოლა; ნიკოლოზ მამინაშვილი - სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლა; ირინე ბარამიძე - დაბა ურეკის საჯარო სკოლა; ქრისტინე კვაჭანტირაძე - დაბა ურეკის საჯარო სკოლა; ნანა ჩხატარაშვილი - დაბა ურეკის საჯარო სკოლა.

# სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს სოფელ ძიმითში სახლი შეუძინეს



სოფელ ძიმითში, ლალი ტულუშის სოციალურად დაუცველ და მრავალსულიან ოჯახს, პროგრამის „სოფლის სახლის„ ფარგლებში დევნილთა და განსახლების სამინისტრომ სახლი წინასაახალწლოდ შეუძინა. ლალი ტულუშის ოჯახს დევნილთა და განსახლების მინისტრი, სოზარ სუბარი, აღნიშნული უწყების მოადგილესთან, გიორგი ფაცაციასთან, გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელ, ქეთევან მოისწრაფეშვილთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, მერაბ ჭანუყვაძესთან ერთად საჩუქრებით ეწვივნენ და დამდეგი 2015 წელი მიულოცეს.

მრავალსულიან ოჯახს, სადაც 5 არასრულწლოვანი ცხოვრობს, დევნილთა სამინისტრომ სახლთან ერთად საოჯახო ტექნიკა - სარეცხი მანქანა და ტელევიზორი შეუძინა.

ლალი ტულუშის ოჯახი 8 წელი გაუსაძლის პირობებში, მეზობლის ავარიულ სახლში ცხოვრობდა.

# მის მერია – ანა მდინარაძე, მისტერ მერია – კობა დუნდუა



**ალიონი** წელიწადის ბოლო დღეს ქალაქ ოზურგეთის მერიამ საახალწლო საჩუქრები გადასცა ყველა თანამშრომელს და გამოავლინა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები.

მის მერიად დასახელდა ანა მდინარაძე, მისტერ მერიად - კობა დუნდუა, ყველაზე ცნობისმოყვარე თანამშრომლად დასახელდა ქეთინო ვადაჭკორია, ყველაზე ღიმილიანად მიიჩნიეს სალომე კურდღელაშვილი, ყველაზე დინჯი აღმოჩნდა გერასიმე ბოლქვაძე, ყველაზე ზრდილობიანი — თემურ გიორგაძე, ყველაზე მეგობრული — მზია გაგუა, ყველაზე, ყველაზე... — ნინო გირკელიძე, ყველაზე მკაცრი - ბეგლარ სიორიძე, ყველაზე შრომისმოყვარე - გიორგი ხუროშვილი, ყველაზე მხიარული — ნათია ბოლქვაძე, ყველაზე კომუნიკაბელური - მაია ინარიძე ყველაზე — ირინა შალამბერიძე, ყველაზე საყვარელი — ანა მდინარაძე, ყველაზე მოძრავი — მერაბ წივწივაძე.

დღესვე შემოქმედის ეპარქიის სასულიერო პირებმა აკურთხეს ქალაქის მერიის შენობა, ქალაქის ხელისუფლებას მომავალ, 2015 წელს წარმატებები უსურვა მამა ბესარიონმა.

# მეკვლედ 101 წლის ქალბატონის ოჯახში



ქალაქის მერი ახალი წლის ღამეს 103 წლის ქალბატონის ნადია სირაძის ოჯახის მეკვლე გახლდათ. ოზურგეთის უხუცეს მკვიდრს ბეგი სიორიძემ ტკბილეულით სავსე კალათი გადასცა და 2015 წლის დადგომა მიულოცა. საუკუნეს გადაცილებულ ქალბატონს მერმა წელთა სიმრავლე და ჯანმრთელობა უსურვა.

# მერაბ ჭანუყვაძემ საახალწლო ნობათით 104 წლის ქენია ცეცხლაძე დაასაჩუქრა



გასული წლის ბოლო დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ თემთა მუნიციპალიტეტის ყველაზე მხცოვანი მოქალაქე, სოფელ ცხემლისხიდში მცხოვრები 104 წლის ქენია ცეცხლაძე წინასაახალწლო ნობათით დაასაჩუქრა. გამგებელმა ქალბატონ ქენიას დამდეგი ახალი წელი მიულოცა, წინსვლა, ჯანის სიმრთელე, ღვთის წყალობა და უამრავი ლამაზი დღე უსურვა.


ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახური გილოცავთ შობა- ახალ წელს!“



„ევროპა-ბეთი“ გილოცავთ შობა- ახალ წელს!




შპს „გზამშენი 18“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!




ა (ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრი“ „გილოცავთ შობა-ახალ წელს!



სააქციო საზოგადოება „იმედი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!!



მაღაზია „კარგო “ გილოცავთ შობა- ახალ წელს!“



„ენერგო პრო ჯორჯია“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!



„ტექნოსერვი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!



შპს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სავაჭრო ცენტრი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!





ჩემო ოზურგეთელებო!

სულითა და გულით გილოცავთ შობა-ახალ წელს, გაიხარეთ იბედნიერეთ, გახსოვდეთ, რომ ქალაქის ხელისუფლება მუდამ თქვენს გვერდითაა, თქვენს სამსახურშია. მიყვარხართ!

თქვენი **ალეკო ბურჭულაძე**

ქ. ოზურგეთის ვიცე მერი



ჩემო ძვირფასო ოზურგეთელებო! დიდი სიყვარულით გილოცავთ შობა-ახალ წელს. არ მოგკლებოდეთ ღვთის მადლი, ჯანის სიმრთელე, სიხარული და ბედნიერება, გქონოდეთ ხალისიანი განწყობა .საუკეთესო სურვილებით,

**კობა დუნდუა**

ქ. ოზურგეთის მერის მოადგილე



ძვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ შობა – ახალ წელს. 2015 წელი მშვიდობის, ბედნიერების, წარმატებების, ეკონომიკური წინსვლის მომტანი ყოფილიყოს თქვენი ოჯახებისთვის, სრულიად საქართველოსთვის. ღვთის წყალობა, ჯანის სიმრთელე, სულიერი სიმტკიცე, ხვავი და ბარაქა ნუ მოგკლებოდეთ.

**თემურ სალუქვაძე,**

საქართველოს თავისუფალი დემოკრატების გამგეობის წევრი, ქ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი.



გილოცავთ დამდეგ შობა-კალანდას ჩემო ოზურგეთელებო, მახვილებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებებს!

**ეროდი გორდელაძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე.



გილოცავთ შობა-კალანდას!. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, შვილთა სიმრავლეს, ქვეყნის გამთლიანებას.

უფლის მადლით გაბრწყინებულებს გვეცხოვროს ძლიერ საქართველოში.

**ბესიკ მელუა**

ქ. ოზურგეთის მერიის სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და ტურიზმის სამსახურის უფროსი



ჩემო ოზურგეთელებო, ჩემო მაკვანეთელებო! გილოცავთ შობა-ახალი წლის მობრძანებას. გისურვებთ ბედნიერებას, ხვავს, ბარაქას, ჯანმრთელობას.

უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ.

**ნუგზარ კალანდარიშვილი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი



შობა-ახალ წელს გილოცავთ თხინვალელებო! სოფლის ყველა მცხოვრებს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელს, სკოლის მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, ბედნიერებას და წარმატებებს

**ბიძინა გოგრონიძე,**

სოფ. თხინვალის მაჟორიტარი დეპუტატი.



ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი გილოცავთ შობა- ახალ წელს! გისურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, წინსვლას შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.

**შალვა კონჯარია,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრის დირექტორი.



გილოცავთ დამდეგ შობა-კალანდას ჩემო ოზურგეთელებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებებს!

**გელა ჭანუყვაძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.



2015 წელი მშვიდობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ყველი ოზურგეთელისათვის. ერთიან, ძლიერ, გაბრწყინებულ საქართველოში გვეცხოვროს.

**გოჩა ქიმისტარიშვილი,**

„პატრიოტთა ალიანსის" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი



გილოცავთ დამდეგ შობა-კალანდას ჩემო ოზურგეთელებო, ნასაკირალელებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებებს!

**შოთა ართმელაძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური რესურსების მმართვის კომისიის თავმჯდომარე.



გილოცავთ დამდეგ შობა-კალანდას ჩემო ოზურგეთელებო, შემოქმედლებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებებს!

**ხვიჩა ფულაძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი

შპს „ისიდორე" გილოცავთ შობა- ახალ წელს!"



რ

აჩუქე
ბედნიერება
სხვას და
გახდი უფრო
ბედნიერი!



რ

# შობა ახალ წელს ვულოცავ ჩემს საყვარელ ოზურგეთელებს და სრულიად საქართველოს!



შობა ახალ წელს ვულოცავ ჩემს საყვარელ ოზურგეთელებს და სრულიად საქართველოს!

დამდეგი 2015 წელი წინსვლის, წარმატების, გამარჯვების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანისათვის.

მჯერა, ყველა მოქალაქე იგრძნობს იმ სიკეთეების რეალურ შედეგს, რასაც ჩვენი ხელისუფლება საშინაო თუ საგარეო კუთხით, სიღარიბის დაძლევის, ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებისათვის ახორციელებს.

დარწმუნებული ვარ, წინ გაცილებით საინტერესო და ნაყოფიერი წლები გველოდება!

ვუსურვებ ჯანმრთელობას, გამრავლებას, სიმტკიცესა და სიძლიერეს ოზურგეთელ ყველა ოჯახს!

## ზვიად კვაჭანტირაძის მოწვევით ოზურგეთს გერმანიის ბუნდესტაგის წევრი სტუმრობდა

საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად კვაჭანტირაძის მოწვევით, ოზურგეთს სტუმრობდა გერმანიის ბუნდესტაგის წევრი, გერმანიის საქართველოსთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი კარინ შტრენცი. ქალბატონ კარინ შტრენცისა და ზვიად კვაჭანტირაძის შემწეობით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის უშუალო ჩართულობით დაიწყო მოლაპარაკებები იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქ ოზურგეთს გერმანიაში ეყოლება პარტნიორი დამეგობრებული ქალაქი.

კარინ შტრენცი და ზვიად კვაჭანტირაძე ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში პედაგოგთა პროფესიული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

## ზვიად კვაჭანტირაძე: „ამ ადამიანს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქალაქის ისტორიაში“



8 ნოემბერს სახალხო დღესასწაულზე ალეგრობა-ოზურგეთობაზე საპატიო ოზურგეთელების დაჯილდოება შედგა. ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ზვიად კვაჭანტირაძემ საპატიო ოზურგეთელის წოდება აკადემიკოს არსენ კეჭაყმაძეს გადასცა: “ამ ადამიანს აქეთ ეგების, რომ ვინმეს სახელდება მოახდინოს მაღალი სცენიდან, იმდენად ძვირფასია მისი სახელი თითოეული ოზურგეთელისათვის იმიტომ, რომ ამ ადამიანს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქალაქის ისტორიაში, და ძალიან სერიოზული წვლილი აქვს საქართველოს ისტორიაში და მეცნიერებაში შეტანილი. მე ვამაყობ იმით, რომ ის არის ჩემი ძალიან ახლო მეგობრის მამა, მაგრამ მიხვდებით, რომ ამას არაფერი კავშირი არ აქვს ამ დაჯილდოებასთან, როდესაც გაიგებთ მის სახელსა და გვარს, დიდი პატივისცემით არსენ კეჭაყმაძე“.

# ბიუროს წლიური ანგარიში

საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროში 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის იანვრამდე შემოსულია 164 განცხადება.

შემოსული განცხადებების უმეტესობა სოციალური ხასიათისაა.

მოქალაქეები ითხოვენ შეწყვეტილი სოციალური დახმარების აღდგენას, ჯანმრთელობის დაფინანსებას, ბუნებრივი აირის შეყვანას, გზის რეაბილიტაციას, წყლის სისტემის აღდგენას და ასე შემდეგ.

7-მა მოქალაქემ მოგვმართა შეწყვეტილი სოციალური დახმარების აღდგენის მოთხოვნით. ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა შვიდივე მათგანს უშუამდგომლა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსთან გაიოზ თალაკვაძესთან, აქედან 6 მოქალაქეს აღუდგა შეწყვეტილი სოციალური დახმარება. 1 განცხადება განხილვის პროცესშია.

ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობით 14 მოქალაქეს დაუფინანსდა ოპერაციისათვის საჭირო თანხა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შუამდგომლობით 5 მოქალაქეს დაუფინანსდა მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხა.

39 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და ჩაერიცხათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე დაკმაყოფილდა 4 განცხადება ბუნებრივი აირის გაყვანასთან დაკავშირებით.

29 დაკმაყოფილებული განცხადება სხვადასხვა ხასიათისაა.

საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობითა და უშუალო ჩარევით 2015 წელს დაპროექტდება და აშენდება სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლა.

საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროში 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის იანვრამდე ზეპირი კონსულტაცია და დახმარება გაეწია 1200 მოქალაქეს.



## დეპუტატის ბიუროში ზვიად კვაჭანტირაძის შეხვედრა მოქალაქეებთან



საქართველოს პარლამენტის წევრი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე მოქალაქეებთან შეხვედრებს რეგულარულად მართავს. 25 აგვისტოს ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა მოქალაქეებთან მორიგი შეხვედრა გამართა. ეს შეხვედრა განსაკუთრებულად ხანგრძლივი გამოდგა. იგი დილის 12 საათზე დაიწყო და საღამოს 6 საათზე დასრულდა. დეპუტატის ბიუროში პარლამენტის წევრთან შესახვედრად 30 მოქალაქე გვყავდა ჩაწერილი, მაგრამ ზვიად კვაჭანტირაძესთან პირისპირ შეხვედრის მსურველი გაცილებით მეტი აღმოჩნდა. დეპუტატი ექვსი საათის მანძილზე ისმენდა მოქალაქეთა პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს ეძებდა. ზოგი მათგანი პირად საკითხებზე ესაუბრა დეპუტატს, ზოგსაც საერთო პრობლემები აწუხებდა. მოქალაქეებმა ძირითადად დასაქმების, გზის, გაზის, წყლისა და გამრიცხველიანების პრობლემების მოგვარება სთხოვეს მაჟორიტარ დეპუტატს.. ზვიად კვაჭანტირაძემ მათი საწუხარი გულთან მიიტანა და რამდენიმე მათგანს მყისიერი დახმარება აღმოუჩინა. დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები ზვიად კვაჭანტირაძის მისამართით არაერთი თბილი სიტყვების და მადლობის მოწმენი გავხდით. ყოფილი ნევთობაზის შენობაში დროებით შესახლებულმა ლია ტუღუშმა, რომელსაც დეპუტატი დენისა და წყლის პრობლემის მოგვარებაში დაეხმარა და მის ოჯახს საახალწლოდ ტელევიზორი აჩუქა, ზვიად კვაჭანტირაძეს თავისი შვილიშვილების თორნიკე და მარიამ ხომერიკების დაწერილი წერილი მიუტანა: ,, ჩემო საყვარელო ზვიად ბიძია, ტელევიზორში რომ დაგინახავთ იმედი მესახება, რადგან ვიცი რამდენ ოჯახს დაეხმარეთ. რამდენი ბავშვი გაახარეთ და რამდენ ადამიანს დაუბრუნეთ ცხოვრების ხალისი. კარგად მინდა ვისწავლო, სპორტშიც წარმატებული ვიყო იმიტომ, რომ არ შეგარცხვინოთ. თქვენ საკუთარი შვილივით მომექეცით. ყოველთვის მახსენდება თქვენი სიტყვები ბებოს რომ დაუბარეთ: ,, გაზარდეთ ეს ბავშვები, მადლიაო.“ სწორედ უნდა გავიზარდო, რომ თქვენ, ბებო და სამშობლო ვასახელო. თქვენ ხართ ჩემთვის მაგალითი, ადამიანი , ვისაც უნდა მივბაძო და ისე გავახარო სხვა ბავშვები, როგორც თქვენ გაგვახარეთ. დიდ მადლობას გიხდით მე და ჩემი დაიკო იმ ბედნიერი ახალი წლისთვის ,თქვენ რომ გვაჩუქეთ“.

## მადლობა ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს!

ჩვენს უბანში შემოყვანილი იყო გაზი და დარჩენილი იყო უბნის ნახევარი უგაზოდ. ორი წლის მანძილზე მივმართეთ სხვადასხვა ინსტანციებს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს დასახმარებლად მივმართეთ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს. ქალბატონ ნინო კუკულაძის მეშვეობით დაგვეხმარა ზვიად კვაჭანტირაძე, რომელმაც გვიშუამდგომლა ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან და ჩვენი უბნის მოთხოვნა გაზიფიკაციის თაობაზე დააკმაყოფილა.დიდი მადლობა დახმარებისათვის!

**თამაზ ღლონტი,**
**ვასასი ჩხარტიშვილი,**
**იამზე ტოტოჩავა,**
**ნუგზარ დარჩია.**
**სოფელი ოზურგეთი.**

**გვერდი მოამზადა მაჟორიტარი დეპუტატის პრესსამსახურმა ნინო კუკულაძემ.**



**სააქციო საზოგადოების „საქართველოს რკინიგზა“ ოზურგეთის მგზავრთა სერვის ცენტრი გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**

დავით ქურიძე,
ოზურგეთის მგზავრთა სერვისცენტრის უფროსი



**გილოცავთ ახალ წელს ლაითურელებო! დაბის ყველა მცხოვრებს, გისურვებთ სიკეთეს, ბედნიერებას და წარმატებებს!**

რესან გაბაიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი



**გილოცავთ ახალ წელს! სოფ. შრომის ყველა მცხოვრებს, გისურვებთ სიკეთეს, ბედნიერებას და წარმატებებს!**

დავით ჭაკნელიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი

## .მერმა წინასაახალწლოდ ოზურგეთის საპატიო მოქალაქე, ჟურნალისტი ეთერ ქადეიშვილი მოინახულა



ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ ოზურგეთის საპატიო მოქალაქე და ჟურნალისტურ საქმიანობაში დამსახურებული მოღვაწე, ქალბატონი ეთერ ქადეიშვილი 31 დეკემბერს მოინახულა, დამდეგი ახალი წელი მიულოცა და საჩუქრად ტკბილეულით სავსე კალათი მიართვა. მერმა ხაზგასმით აღნიშნა ქალბატონი ეთერის დამსახურება. მას წელთა სიმრავლე და პროფესიიულ საქმიანობაში ახალი წარმატებები უსურვა.

## ახალ წელს ოზურგეთი თეატრალურ მოედანზე გამართული საახალწლო კონცერტით შეეგება

**ბეგი სიორიძე: ვარ და ვიქნები თქვენი თითოეული პრობლემის გულშემატკივარი, თქვენი სიხარულის გამზიარებელი და ყოველთვის თქვენ გვერდით, როგორც ქალაქის მერი, ასევე, როგორც უბრალოდ ოზურგეთელი.“**

ახალ, 2015 წელს ქალაქი ოზურგეთი თეატრალურ მოედანზე გამართული დიდი საახალწლო კონცერტით შეეგება.

ღონისძიება ადგილობრივმა მომღერლებმა და სახელმწიფო ანსამბლმა ,,გურიამ" გახსნა. კონცერტის მეორე ნაწილში შეკრებილი საზოგადოებისთვის ჯგუფმა "ნიკოლშოუმ" და გიორგი ძამუკაშვილმა იმღერეს.

კონცერტს ქალაქის მერი ბეგი სიორიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ქალაქის მერმა ოზურგეთელებს სიტყვით მიმართა და ახალი წელი მიულოცა:

გილოცავთ დამდეგ, 2015 წელს. ეს წელი თითოეული თქვენგანისთვის სიკეთის, წარმატებებისა და კეთილდღეობის წელი ყოფილიყოს. გისურვებთ ხვავს, ბარაქას, წელთა სიმრავლეს და ჯანმრთელობას. ოზურგეთი ახალ წელს პირველად ხვდება თვითმმართველი ქალაქის სტატუსით. სწორედ ამიტომ მე, როგორც პირველი მერი, ორმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობ თქვენს წინაშე. ზოგჯერ რეალობა და სურვილები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მე მაქსიმალურად ვეცდები ისინი თანხვედრაში მოვიყვანო. ქალაქის მერია, მისი თითოეული თანამშრომელი ძალისხმევას არ დაიშურებს თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად იმისა, რომ მერია მუშაობას სულ რაღაც ხუთი თვეა შეუდგა, უკვე ბევრი გეგმა გვაქვს თქვენი პრობლემების გადასაჭრელად და მის განსახორციელებლად უწყვეტ რეჟიმში ვმუშაობთ. ვარ და ვიქნები თქვენი თითოეული პრობლემის გულშემატკივარი, თქვენი სიხარულის გამზიარებელი და ყოველთვის თქვენ გვერდით, როგორც ქალაქის მერი, ასევე, როგორც უბრალოდ ოზურგეთელი.“

მერის საახალწლო მილოცვის შემდეგ ოზურგეთი ახალ წელს, ტრადიციულად, ფოიერვერკებით შეეგება.



## საახალწლო კონცერტი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის



29 დეკემბერს ოზურგეთის დრამატულ თეატრში, ქალაქის მერიის ორგანიზებით საახალწლო კონცერტი გაიმართა, რომლის ბენეფიციარები იყვნენ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები, დევნილი ოჯახების შვილები, ძალადობის მსხვერპლი ოჯახები და ხანდაზმულ ბაბუათა ანსამბლი ''აბჯარი''.

ფერადი დეკორაციებით გაფორმებულ სცენაზე ერთმანეთს საახალწლო განწყობის შესაქმნელად სხვადასხვა ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლი ენაცვლებოდა.

''ქალაქის მერიის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი სოციალური პრობლემების მოგვარებაა. წელს, შარშანდელთან შედარებით ერთჯერადი სოციალური დახმარების თანხა 100 ლარის ნაცვლად 150 ლარამდე გაიზრდება. ვიცით, რომ ეს თანხა თქვენი პრობლემების სრულყოფილად გადაჭრისთვის საკმარისი არ არის, თუმცა ამ მიმართულებით ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ.'' - თქვა ქალაქის მერმა ღონისძიებაზე. ბოლოს, კონცერტზე დამსწრე 104-ვე ბენეფიციარს საკვები პროდუქტებით სავსე სასაჩუქრე პაკეტები გადაეცათ.მათ, ვინც კონცერტს ვერ დაესწრო, საახალწლო ნობათები ნაახალწლევს მიუტანეს.

## სპეციალური სტატუსის მქონე 109 ოჯახს სასაჩუქრე პაკეტები გადაეცა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ, სოციალური სამსახურის უფროსთან, მაიზერ ცელაძესთან და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელთან, ნატალია ხომერიკთან ერთად დღეს ის ოჯახები მოინახულა, რომლებზეც მუნიციპალიტეტის გამგეობამ წინასაახალწლო სასაჩუქრე პაკეტების შესაძენად 10 000 ლარი გამოყო.

სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მრავალშვილიანებს, დევნილებსა და ხანდაზმულებს გამგებელმა სურსათი და ტკბილეული გადასცა.

საახალწლო ღონისძიების ნაცვლად. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამყოფილი 10 000 ლარი ამ წელს, მხოლოდ სპეციალური სტატუსის მქონე ოჯახებს მოხმარდა.

სასაჩუქრე პაკეტები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 109 ოჯახზე განაწილდა.



## განცხადება

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი აცხადებს მსურველთა მიღებას **ოზურგეთის სალოტბარო სკოლაში**, სადაც მოსწავლეები სრულიად უფასოდ შეისწავლიან ქართულ ტრადიციულ გალობასა და ხალხურ სიმღერებს. სწავლება განხორციელდება სპეციალური პროგრამის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანზორ ერქომაიშვილისა და ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი დონაძის ხელმძღვანელობით. სკოლის დამთავრების შემდეგ წარჩინებული მოსწავლეები ჩაირიცხებიან ქ. თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც სწავლა ასევე უფასოა. პარალელურად ცენტრის ეგიდით იქმნება ბავშვთა მუდმივმოქმედი ანსამბლი, სადაც შეისწავლიან ქართულ ტრადიციულ გალობასა და ხალხურ სიმღერებს.

სალოტბარო სკოლაში მიიღებიან მსურველები 15 წლის ასაკიდან და ზემოთ. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია. სკოლის დამთავრების შემდეგ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი. ბავშვთა ანსამბლში მიიღებიან 6 დან 15 წლამდე ასაკის მსურველები.

განცხადებების მიღება იწარმოებს 2015 წლის 31 იანვრამდე. სწავლება დაიწყება 2015 წლის 2 თებერვლიდან.

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ნომრებზე: 595-14-82-82; 593-34-10-71**

**ადმინისტრაცია**

**ქ. ოზურგეთი ნ. ნიკოლაძის 18 (ყოფილი სტახანოვის ქუჩა)**

# ფირალი სისონა დარჩია

**ენვერ გოგუაძე**

**დასაწყისი იხ. ალიონი №47-52 2014 წ.**



ესე გურიელი

სისონა დარჩიას საქებ-სადიდებლად შექმნილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშში, რომელსაც საბჭოურ-კლასობრივი ელფერი დაჰკრავს, „თვალში საცემი განსაკუთრებულობით“ „სტრაჟნიკთა“ მარბიელი სარანგის შექმნის შესახებ ნათქვამია:

„დამსჯელი ჯარი გამრავლდა,
მცველებს დაარქვეს სტრაჟია,
ღმერთმა დასწყევლოს იგინი,
რა უთავბოლო ხარჯია,
მე სისონა ვარ, დაირქვეს,
დოქტურს აართვეს ბაჟია,
ბერ-მონაზონიც კი მოჰკლეს,
ალი-ოსმანა სტრაჟია“.

სტრაჟნიკთა ინსტიტუტის შემოღებას, რომელიც ფირალებთან ერთად უმძიმეს ტვირთად დააწვა „მარქსიზმის ნებისაკენ“ თანდათანობით მიმავალ გურიის მოსახლეობას, მალე სათანადო ადმინისტრაციული ბრძანებაც მოჰყვა მოსახლეობის მიმართ, „სასიკვდილო იარაღის ტარების აკრძალვის შესახებ“, რამაც ბოლო ხანებში ასეთი გამოხატულება მიიღო: „„სასტიკად აკრძალულია ქალაქ ქუთაისში, ქუთაისის შემოგარენსა და ოზურგეთის მაზრებში საბრძოლო იარაღის ტარება, ტარება ხმლის ხანჯლის, ბებუთისა, ფინური დანისა, კასტეტისა და ისეთი ტროსტებისა, რომელშიც დანა ან ხმალია.

ამ სავალდებულო დადგენილებისათვის დამნაშავე დაისჯება ადმინისტრაციული წესით, 500 მან. ჯარიმით, ან სამ თვემდე საპატიმროში დაპატიმრებით“.

სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ გავარდნილებს ადმინისტრაციის მიერ გამოცემული მსგავსი ბრძანებულებები. განიარაღებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მათი შეიარაღება გაცილებით სჯობდა და ბევრად ალემატებოდა სტრაჟნიკთა შეიარაღებას, ხოლო იარაღის მარჯვედ ხმარებაში ფირალი ბევრად წინ უსწრებდა სტრაჟნიკებს. ამ უპირატესობათა წყალობით „დევნილი ხშირად მდევნელის“ როლში გასულა. მარტოდ მარტოკა სისონა ხშირად ათამდე სტრაჟნიკს გადადგომია წინ, „პრისტავსაც დადგომია ზოგჯერ თავზე, ისე რომ ამგვარი მოულოდნელობით გაოგნებულ „ზემსკაია სტრაჟას“ პირის დამუწვა“ საკმაოდ გვიან გახსენებია. ჩოხატაურში, ჯვარცმის ეკლესიის მახლობლად მიიტყუა ლიქარდიანი ენით მოუბარმა დათუნაშვილმა სისონა და ვასილა დარჩიები, მათთან ერთად ახალი გაფირალებული ილარიონ დათუნაიშვილიც იმყოფებოდა. ფუტკარივით შემოესია „ზემსკი სტრაჟა“ „გავარდნილ სამეულს“, ტყვიები აწვიმეს ფირალებმა. საარაკო იყო მათი გაბრძოლება, კისკასობა და სიმარდე. დაფრთხა სტრაჟა. ჩირგვებში მიიმალა საგანგებოდ შექმნილი საერებო დარაჯთა „3 მილიონიანი კორპუსის“ რჩეული მეწინავენი. გავარდნილები სამშვიდობოს გავიდნენ. აღნიშნულის შემდეგ დათუნაიშვილს დიდხანს აღარ დასცალებია გურიის ტყეთა უსიერ ტევრებში ნავარდი. ესე გურიელი და მაზრის უფროსი იაგოროვი კვადაკვალ დასდევდნენ „გავარდნილებს“. სისონას ესე გურიელის მოურავი ანდრიე ჩიკაშუა ჰყავდა მოკლული და ესესაც სიკვდილს ჰპირდებოდა. ესე გურიელს ყველგან სისონა დარჩია ელანდებოდა. სისონა სამუდამო ძილს უმზადებდა და ბალიშზე თავს რა დაადებინებდა.

1889 წლის 7 სექტემბერს ესე გურიელმა და მაზრის უფროსმა იაგოროვმა ღალატის წყალობით „გავარდნილების გეში“ აიღო და სოფელ ბაილეთში ერთ-ერთ ოჯახში სისონას დროებით ადგილსამყოფელს წააწყდა. სოფელი „სტრაჟნიკებით“ აივსო, საშინელების მოლოდინში მთელი მოსახლეობა საკუთარ სახლებში შეიკეტა. ძე ხორციელის ჭაჭანება არ ისმოდა გარეთ. ჩქამი არსაიდან გაღებულა. ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ სტრაჟები სისონას ადგილსამყოფელს. ალყის სალტე თანდათანობით შეავიწროვეს. ნადირის ყნოსვა ჰქონდა დარჩიას. „ტანში აბურძგლა“ საშინელების მოახლოებამ. დილის ექვსი საათიდან დაიწყო მოდენა ყაზახ-რუსებმა. ესე გურიელის გურულმა კაცებმა. თათრებიც ბლომად ერია მათ შორის. ყველას „წითელი ჯვარი“ და სახელის შოვნა უნდოდა.შუადღისას დაამთავრა საალყო სამზადისი. „ჩიტი კურკანტელას ვერ გაიტანდა იმფერი კრუგი დაარტყეს სისონას საფარ სახლს“. მოღალატე მიხელა ნინიძე ჯილდოს მოლოდინში გარინდულიყო. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა ბედშავი. საშინელი სროლა ატყდა. სისონა ქორივით გადმოევლო ფიცრული სახლის ღობეს. „ტყვიას გაასწრო“, სამოცი სტრაჟის ერთდროულად ნასროლი ყურშუმი სიახლოვეს არ გაჰკარებია, მოხერხებული საფარი იშოვა და იქედან ასტეხა სროლა. სახლში დარჩენილთ ალყაში მოქცეულ დათუნაიშვილსა და ვასილას მოუხმობდა მოხერხებული ადგილისაკენ. სტრაჟებს თოფს უშენდა და თანამებრძოლ ძმასა და თანაგუნდელ დათუნააიშვილს გამოქცევის საშუალებას აძლევდა. ვასილა სახლში დაჭრეს სტრაჟებმა. მერე შიგ შევარდნენ და ბერდენების ტყვიებით დაცხრილეს. იმარჯვა დათუნაშვილმა, სახლიდან გამოვარდა და სისონას საფარისაკენ გაიქცა ბერდანის ხელუკუღმა სროლით. ტყვია მიაწიეს სტრაჟნიკებმა. სასიკვდილოდ დაჭრეს, ქამრებით შეკრულ-შეკოჭილი ურემზე დადეს და ოზურგეთის ციხისაკენ წაიღეს. ძმა მკვდარი და ამხანაგ დაკოდილი სისონა ტყე-ტყე ბერდენის სროლით მისდევდა სტრაჟებს. ოზურგეთში მათ ჩაღწევამდე მრავალ ადგილას გადაუდგა. საშინელი ომი გაუმართა, მაგრამ დათუნაიშვილი მაინც ვერ გააგდებინა გურიელსა და იაგოროვის კაცებს.მოღალატე მიხელა ნინიძე სისონას ტყვიამ იმსხვერპლა. „საამქვეყნიო პირდაკარგული“ ჯილდოზე „იმქვეყნად წარსდგა“. მისსავე კვალს გაუყენა სისონამ ესე გურიელის კაცებთან ერთად მოსული „მთავრობის ჯილდოს“ მომდევნო მომლოდინე, სოფელ აჭის მკვიდრი „გათათრებული კაკალოღლი“ და ორიც სტრაჟა.

**/გაგრძელება იქნება/**

# სულში ავიშენოთ სათნოების სახლი



ასე ჩაიფიქრეს ლიხაურის საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეებმა, როცა მოხუცებულთა სახლის მობინადრეებთან სტუმრობა გადაწყვიტეს. მანამდე იყო თემის შესაბამისი ლექსებისა და სიმღერების ძიებისა და შესწავლის დღეები. არ იღლებოდნენ, არ წუწუნებდნენ, პირიქით — ახალი ძალებით ივსებოდნენ; თავიანთი ხელით დაამზადეს, პეპლებითა და ბაფთებით გააფორმეს საახალწლო მისალოცი ბარათები; უდიდესი სიყვარულით ქმნიდნენ: ხატავდნენ, აფერადებდნენ, აწებებდნენ, თითოეულში სულის ნაწილს, სითბოს, ყურადღებას აქსოვდნენ.

მაინც იყო მღელვარება და ერთადერთი შეკითხვა — როგორ მიგვიღებენ?

...ის დღე დილიდან ერთი დიდი განცდა იყო. მშობლებიც ძალიან ღელავდნენ. ფიქრობდნენ, როგორ აეწყობოდათ პატარების ურთიერთობა ცხოვრებით დაღლილ ადამიანებთან, როგორ შეხვდებოდნენ, შედგებოდა თუ არა ნათელი დღე, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად უნდა ქცეულიყო.

...ახლა ვიხსენებ, ანასეულის აღმართს რომ შეუდგა ჩვენი მანქანა (ბატონი ლადო ქავჯარაძე უანგაროდ და უსაყვედუროდ მოგვემსახურა, რამდენიმე რეისი დასჭირდა ჩვენს გადასაყვანად და უკან დასაბრუნებლად), მარტო საკუთარი კი არა, ჩემი მოსწავლეების გულისცემის ხმაც აშკარად გავიგონე.

მივედით. გველოდნენ. მომსახურე პერსონალმა გულისა და შენობის კარები ფართოდ გაგვიღო.

უცებ უსაზღვრო შვება ვიგრძენით — ვრცელ, ნათელ ჰოლში კეთილად, მონატრებულად მომღიმარი მოხუცების სითბო და სიყვარული მოგვეგება.

ერთმანეთი გავიცანით, ჩვენზე ვუამბეთ, კითხვებზე ვუპასუხეთ, ლექსები წავუკითხეთ, ვიცეკვეთ; ფანდურზე უმშვენიერესი სიმღერები შეასრულეს და-ძმა ნინო და ემიკო სურგულაძეებმა;

სამახსოვროდ უამრავი სურათი გადავიღეთ.

ყველას ძალიან მოეწონა საახალწლო მისალოცები. სიყვარულით ესათუთებოდნენ გაუწაფავი, ბავშვური ხელით შექმნილ ბარათებს; გაახარათ პეპლებით ტოტებდახუნძლულმა „იმედის ხემ“, რომელმაც შორეული გაზაფხულის სურნელი იქვე, სულ ახლო, ულამაზესად მორთულ, კოპწია ნაძვისხესთან გადმოიტანა.

დამშვიდობება უფრო ძნელი აღმოჩნდა. გადავწყვიტეთ, ისევ ვესტუმროთ. „გაზაფხულთან ერთან დავბრუნდებითო“, — დაუბარეს ბავშვებმა თვითონაც ბავშვივით გახარებულ მოხუცებს.

მივდიოდით და გული უკან, სათნოების სახლისკენ გვეწეოდა. ისევ საოცარი მოხუცის ტკბილი ღუღუნი ჩაგვესმოდა, ისევ მათი უთბილესი მზერა და გასაოცარი ღიმილი მიგვაცილებდა...

შინ დაბრუნებულებმა რვეულის ფურცლებს გაანდეს, რაც სულს დააჩნდა:

„დღე, რომელიც ჩემი ცხოვრების საგზლად გამყვება“; „თითქოს უცებ გავიზარდე, მოვალეობის გრძნობა გამიჩნდა“; „ახლა უფრო მძაფრად შევიგრძენი, როგორ მყვარებია ჩემი ბებია და ბაბუა“; „უფრო ნათლად გავიაზრე, რას მასწავლის მცნება „გიყვარდეს მოყვასი შენი“; „უნდა მოვასწრო და ვუთხრა ჩემს მოხუც, ავადმყოფ ბებოს, რომ ძალიან მიყვარს“„აღარასოდეს გავაჯავრებ, მოვეფერები, მოვუსმენ;“

„არ კმარა, მხოლოდ ზრუნავდე ადამიანზე, მთავარია, სიყვარულით იზრუნო“;

„თურმე შესაძლებელია, ერთმა დღემ ცხოვრება გაგილამაზოს“... — ამ მცირე ამონარიდების უკან ჩემი მეხუთეკლასელები დგანან: ზურა და ნოდარი, ანა და ლანა, მარი და ნოდარი, საბა და მარი.

... მიზანი, რომელსაც ეს სტუმრობა ისახავდა, მიღწეულია. ბავშვებმა გააცნობიერეს ნამდვილი, მაღალადამიანური ფასეულობა — სიყვარულით ზრუნვა ასაკოვან ადამიანებზე ყველა ჩვენგანის მოვალეობაა. წინ მთელი ცხოვრებაა. მჯერა, ბავშვები აუცილებლად შეასრულებენ ჩანაფიქრს — სულში აიშენონ სათნოების სახლი.

**ლეილა ნიკოლაიშვილი,**
ლიხაურის საჯარო სკოლის V კლასის დამრიგებელი.

**სპორტი**

# მეორე საპრიზო ადგილი „ოქროს დელფინის“ თასზე




21-25 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით ბათუმში მინი-ფეხბურთში ღია პირველობა გაიმართა. ოქროს დელფინის თასის მოსაპოვებლად ერთამანეთს 2004-2005 წელში დაბადებული მოზარდებისგან დაკომპლექტებული გუნდები ეჯიბრებოდნენ. მონაწილე ექვს გუნდს შორის ოზურგეთის მერცხალი რომელის მწვრთნელიც ვახტანგ ჩხაიძე გახლავთ, II მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. საუკეთესო ნახევარმცველის ნომინაციაში გამარჯვებული კი მერცხალის ფეხბურთელი გაბრიელ ჩავლეშვილი

**გახსენება**

# ნოდარ გოგოტიშვილი



3 წელი სრულდება, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ.

2 იანვარი შენი დაბადების დღეა, ამ დღეს ვიკრიბებოდით სიხარულით. დღეს კი უშენოდ ვხდებით, ვიგონებთ იმ ბედნიერ წლებს, რაც ჩვენ გვაკავშირებდა.

75 წლის გახდებოდი ძამიკო. ძნელია საყვარელი ადამიანის დაკარგვა, ძალიან გვიჭირს უშენობა.

ღმერთმა ინებოს, გვაცოცხლოს, რათა შენს საფლავთან მოვიდეთ ყვავილებით და სანთლები აგინთოთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

**შენი დები**



. ბედნიერი ახალი წელი და შობა-კალანდა, ჩემო ოზურგეთელებო. მინდა მშვიდობა, კეთილდღეობა და წინსვლა ვუსურვო თქვენს ოჯახებს.

**ლელა საჯაია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



. ჩემო ოზურგეთელებო!

ჩემო პატარებო! აღსაზრდელებო!

საბავშვო ბაღების თანამშრომლებო გილოცავთ შობა-ახალ წელს! ბედნიერ დღეთამრავლობას. გისურვებთ ჯანის სიმრთელეს და სულის სილაღეს.

ჩემო პატარებო, მრავალჟამიერ ისმოდეს. თქვენი ლაღი სიცილი ჩვენი საბავშვო ბაღების კედლებში.

**ეკა ნინიძე,**
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი



ძვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ შობა – ახალ წელს. გისურვებთ, რომ ახალი სიხარულით, ავივსოთ, ოცნებები ჩავუთქვათ და მერე მისი აღსრულება ვიზეიმოთ.

**ვასილ ჩიგოგიძე,**
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი



შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის გაერთიანებული სერვისცენტრი გილოცავთ შრომა-ახალ წელს!

**დავით ცერცვაძე,**
სერვისცენტრის დირექტორი


## ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „პინოქიო" გილოცავთ შობა-კალანდას!



თქვენ შეგიძლიათ აღნიშნოთ ბავშვთა დაბადების დღეები, სხვა ღირშესანიშნავი თარიღები. ჩაატაროთ საბავშვო-გასართობი ღონისძიებები, გამართოთ საბავშვო ინტელექტუალური თამაშები. ცენტრი ერთდროულად 30 ბავშვს ემსახურება.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №5-ა; ტელ: (555) 73 90 06. (რ)

## შპს „ვასაძის პური" და მაღაზია „ნატალი" გილოცავთ შობა-ახალ წელს!



გთავაზობთ საუკეთესო მომსახურებას და პროდუქციის ფართო ასორტიმენტს! (რ)



სასტუმრო **„ბიუქსი",** გილოცავთ შობა-ახალ წელს! თქვენს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ნომრები, ბრუქს-ბარი, – საუკეთესო კომფორტი, მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №17 (რ)

## სს „ტრანსსერვისი" გილოცავთ შობა-ახალ წელს!



ტაქსი გამოძახებით: 0(496) 275544; 0790554455 (რ)


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 8 იანვარი ორშაბათი | 9 იანვარი სამშაბათი | 10 იანვარი ოთხშაბათი | 11 იანვარი ხუთშაბათი | 12 იანვარი პარასკევი | 13 იანვარი შაბათი | 14 იანვარი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| თოვლი | თოვლი | თოვლი | ღრუბელი | ღრუბელი | წვიმა | მზე |
| -1-6 | 0 -6 | +1+6 | +4+6 | +5+12 | +3+7 | +1+7 |